

მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

მუხლი 2. პროგრამის ამოცანა

პროგრამის ამოცანაა მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლეები

1. პროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები და საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეები.
2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 4. პროგრამის კომპონენტები, მომსახურების მოცულობა და ბიუჯეტი

“საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 11 478.2 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის მიხედვით:

კომპონენტი	მომსახურების მოცულობა	ბიუჯეტი (ათასი ლარებში)
დიაბეტით დაავადებულთა მოზრდილ ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	ინსულინისა და მისი ანალოგების შესყიდვა	4 500.0
დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	ინსულინის, ინსულინის ანალოგების, გლუკაგონისა, შპრიც-კალმისტრებისა და შესაბამისი ნემსების შესყიდვა ბავშვთა(18 წლამდე), ასევე 18 წელს გადაცილებული დიაბეტიანი პაციენტებისათვის, რომელთაც აღენიშნებათ მხედველობის დაქვეითება (ან არიან უსინათლოები), აქვთ თნდაყოლილი ცერებრალური დამბლა, უშაქრო დიაბეტი და ჩართული არიან ინტეგრაციის პროგრამაში	585.0
ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	ანტიჰემოფილურ ფაქტორ კონცენტრატებისა და ანტიინჰიბიტორული პროთრომბინ-კომპლექსის შესყიდვა	1 500.0

ონკოინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტებისა და საშუალებების შესყიდვა; აფთიაქიდან ნარკოტიკული საშუალების გაცემის დამადასტურებელი ცნობისა და ნარკოტიკული საშუალებების გამოსაწერი რეცეპტის ფორმა №1-ის შესყიდვა.	600.0
ორგანოგადანერგილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	იმუნოსუპრესული მედიკამენტებით უზრუნველყოფა	1 265.6
	აღრიცხვაზე მყოფ პაციენტთა მონიტორინგი.	20.0
უმაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	ადიურეზული ჰორმონის შესყიდვა	270.0
ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა	ანტირაბიული ვაქცინისა და იმუნოგლობულინის შესყიდვა	1 300.0
ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო საკვები დანამატით უზრუნველყოფა	სამკურნალო საკვები დანამატის შესყიდვა	537.6
მუკოვისციდოზით დაავადებულთა სპეციფიური მედიკამენტებით უზრუნველყოფა	პანკრეასის ფერმენტების შესყიდვა	150.0
სპეციალურ სა მკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის ხარჯები	<ul style="list-style-type: none"> • სამკურნალო საშუალებების (მათ შორის საკვები დანამატების) განაწილება, მიღება, შენახვა, ტრანსპორტირება, გაცემა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებზე (მათ შორის აფთიაქები); • სამკურნალო საშუალებების (მათ შორის საკვები დანამატები) ავადმყოფებზე გაცემა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მეშვეობით (მათ შორის აფთიაქების); • ნარკოტიკული საშუალებების ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ ერთეულებში ტრანსპორტირება ბადრაგირების მეშვეობით. 	600.0
ნარკომანიით დაავადებულთა ჩამანაცვლებელი ნარკოტიკით უზრუნველყოფა	ჩამანაცვლებელი ნარკოტიკის შესყიდვა	150.0
სულ		11 478.2

მუხლი 5. მომსახურების შესყიდვა და განხორციელების მექანიზმები

1. შესყიდვა ხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.
 2. მოსარგებლებისათვის მედიკამენტების და საკვები დანამატის მიწოდება ხორციელდება პოლისების საშუალებით.
 3. სააგენტო, შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ ადმინისტრაციულ ასიგნებათა ფარგლებში, უზრუნველყოფს აღრიცხვაზე მყოფი პაციენტებისათვის ინდივიდუალური პოლისების ბეჭდვასა და დარიგებას;
 4. პოლისის ფორმას, ხელშეკრულებებისა და სატენდერო პირობებს განსაზღვრავს სააგენტო და ინფორმაციის სახით წარუდგენს სამინისტროს.
- გ) მოსარგებლეთა აღრიცხვაზე აყვანა და პოლისების გაცემა ხორციელდება თანდართული წესის შესაბამისად (დანართი №2.1).

დანართი №2.1

მოსარგებლეთა აღრიცხვაზე აყვანის, პოლისის შევსებისა და გაცემის წესი

1. "მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის" მოსარგებლეთა აღრიცხვაზე აყვანა ხორციელდება შემდეგი კომპონენტების ფარგლებში:
 - ა) დიაბეტით დაავადებულ მოზრდილ ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
 - ბ) დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
 - გ) ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
 - დ) ორგანოგადანერგილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
 - ე) უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
 - ვ) ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო საკვები დანამატით უზრუნველყოფის კომპონენტი;
 - ზ) მუკოვისციდოზით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი.
2. აღრიცხვაზე აყვანისათვის პაციენტმა ან მისმა ნდობით აღჭურვილმა პირმა (ნოტარიალურად დამოწმებული დოკუმენტის საფუძველზე) სააგენტოში უნდა წარადგინოს:
 - ა) შესაბამისი მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა №IV-100/ა, რომელშიც დადასტურებული იქნება შესაბამისი დიაგნოზი;
 - ბ) პირადობის/ბინადრობის მოწმობის დედანი და ასლი;
 - გ) ბავშვების აღიცხვისას, ბავშვის დაბადების მოწმობის დედანი და ასლი (ასევე აუცილებელია ბავშვის მშობლის ან მეურვის პირადობის მოწმობის დედანი და ასლი, მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი/ასლი).
 - დ) 2 ფოტოსურათი
3. პოლისი მოწმდება სააგენტოს ბეჭდით.
4. პოლისის ერთი ნაწილი გადაეცემა პაციენტს, ხოლო მეორე იდენტური ნაწილი რჩება სააგენტოში.

5. პოლისის მფლობელი უფლებამოსილია მიიღოს კუთვნილი სპეციფიკური მედიკამენტები და საკვები დანამატი სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელ შესაბამის დაწესებულებებში.
6. ჰემოფილიით დაავადებულთა პოლისის მფლობელი დამატებით უფლებამოსილია, მიიღოს კუთვნილი დახმარება "ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის" (დანართი №4) ფარგლებში.
7. შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა პოლისის მფლობელი დამატებით უფლებამოსილია, მიიღოს კუთვნილი დახმარება "პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის", "სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარების კომპონენტის" ფარგლებში.